ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №642483

ნომერი: AR1120813

თარიღი : 01.04.2013

გაცემის თარიღი : 15.04.2013

გაცნობის თარიღი : 16.04.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , კახეთის გზატკეცილი , N 35ბ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მერაბ ასათაშვილი პ/ნ 01007003262
- თბილისი თევდორე მღვდლის ქ. N 48 ბ. 102

ორგანიზაცია:

- შპს''ენერგო'' კოდი: 208153415

ნომენკლატურა :

- I კლასი
- პერგოლა
  ახალი მშენებლობა
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის

24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ ხელმეორედ იქნა განხილული თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

ვინაიდან აღნიშნული ობიექტი მდებარეობს ქალაქის გეგმარებით კარკასზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობებს და მათზე განთავსებულ კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს, არქიტექტურის სამსახურს წარმოდგენილი სახით პერგოლის და სარეკლამო აბრის მოწყობა კვლავ არ მიაჩნია მიზანშეწონილად. საჭიროა პერგოლის მოწყობა განხორციელდეს ნაკვეთის სიღრმეში ისე, რომ არ იყოს აღქმადი ცენტრალური მაგისტრალიდან, ხოლო სარეკლამო აბრის მოწყობისთვის კი გამოინახოს სხვა ალტერნატიული ადგილი და მოხდეს მისი გაბარიტების შემცირება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროა "არსებული სიტუაციის ფოტოსურათები"-ს გრაფაში დამატებით ატვირთულ იქნას შორი მანძილიდან, კახეთის გზატკეცილიდან გადაღებული ფოტოსურათები, ხოლო "ფოტომონტაჟი"–ს გრაფაში კი ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ახალი ფოტომონტაჟები (გაბარიტული ზომების და მოსაპირკეთებელი მასალის დეტალური მითითებით), რომელიც დამუშავებული იქნება ასევე შორი მანძილიდან გადაღებულ ფოტოსურათებზე. ასევე შეიცვალოს საკადასტრო გეგმაზე მონიშნული პერგოლის განთავსების ადგილი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.